впервые особо изучить прозаические сочинения Акакия Церетели, оставшиеся до сих пор за пределами внимания исследователей, их проблематику и достойные внимания, с точки зрения структуры, художественно-образные особенности.

ОСНОВНЫЕ ПОЛОЖЕНИЯ ДИССЕРТАЦИИ НАШЛИ ОТРАЖЕНИЕ В СЛЕДУЮЩИХ ТРУДАХ:

1. След поэзии Николоза Бараташвили в художественной прозе Акакия Церетели, Сборник трудов учителей-практиков N 2, Тб., 1997.
2. Проблема вос[illegible] Акакия Церетели для юношества, [illegible]ого факультета,
3. Пейзаж в ху[illegible]ая сессия фило[illegible] 10-летию Акаки[illegible]
4. Творческие [illegible] ведениям, [illegible] посвященна[illegible] материалы [illegible]
5. О специфи[illegible] известных [illegible] ученых фи[illegible]

899.962-1(09)
3-96
—1699—

899.962-1(09)
3-96

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნანა მურმანის ასული ფრუიძე

აკაკი წერეთლის მხატვრული პროზის პრობლემატიკისა და მხატვრული სტრუქტურისათვის

სპეციალობა 10-01-01 – ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იუზა ევგენიძე

ექსპერტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ბაქანიძე

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ჭურღულია

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი დავით კოტორაშვილი

წამყვანი ორგანიზაცია — საქ. მეცნ. აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის „28“ ივლისს 2 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ფილოლოგიის დარგის სამეცნიერო საბჭოს P10 01C №2 სხდომაზე

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 1999 წლის „26“ აპრილს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, პროფესორი ნ. ტაბიძე

-1699-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის პროზის პრობლემატიკისა და მხატვრული სტრუქტურის კვლევა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი ამოცანაა. მეტად ფართოა აკაკის შემოქმედებით ინტერესთა სფერო, ამიტომაც მისი ნაწერები პირველყოვლისა მასალობრივი მრავალფეროვნებით იპყრობს ყურადღებას. მწერალს ერთნაირად ხელეწიფება როგორც ტრადიციულ სახეთა მხატვრული ტრანსფორმაცია, ისე ორიგინალურ ხატთა შექმნა. აკაკის პროზაული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცაღა თხუთმეტ ტომად გამოცემულ მის თხზულებათა სრული კრებულის მეშვიდე და მერვე ტომში სამოცამდე პროზაული ქმნილებაა თავმოყრილი. დღემდე საგანგებო კვლევის საგნად არ ქცეულა პროზაულ თხზულებებში გამოვლენილი მწერლის შემოქმედებითი ინტერესები, აკაკის მცირე ზომის მოთხრობების იდეური ფონი თუ მხატვრულ-სახეობრივი სისტემა. აკაკის გენიალური მხატვრული ინტუიცია ჰქონდა. მის მიერ პროზაულ ქმნილებებში გამოთქმული შეხედულებები რამდენიმე ათწლეულის შემდეგ ლიტერატურულ-მეცნიერულმა სამყარომ თითქოს ხელახლა აღმოაჩინა და საგანგებო დაკვირვების საგნად აქცია /მ. ბახტინი, გ. გაჩევი, კ.გ. იუნგი, გ. ასათიანი/. ამ კუთხით აკაკის ნაწერების შესწავლა მომავალში, ალბათ, ბევრ საინტერესო საკითხს აღძრავს თაობათა წინაშე.

აკაკი წერეთლის თხზულებები პატრიოტული გრძნობის გამოვლენის შინაგანი მრავალსახეობით ხასიათდება. ამიტომაცაა, რომ სწორედ ღრმა პატრიოტიზმი გასდევს ლაიტმოტივად მის ისტორიულ, სოციალურ-პოლიტიკურ, საყმაწვილო თუ იუმორისტულ მოთხრობებს.

აკაკი წერეთელს გარკვეული წვლილი აქვს გაღებული ქართულ სინამდვილეში ნოველის ფორმირებაშიც. საგულისხმოა ლეგენდურის აკაკისეული გაგება და ამ კონტექსტში მისი ლეგენდური ელფერის მოთხრობების, ორიგინალური ზღაპრებისა და იგავების სპეციფიკა. აღნიშნული საკითხები ფაქტობრივად შეუსწავლელია. წინამდებარე